ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3054426

ნომერი: AR1470366

თარიღი : 12.01.2017

გაცემის თარიღი : 23.01.2017

გაცნობის თარიღი : 23.01.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფ. ფონიჭალა , (ნაკვეთი N030/008) ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- მერაბი ვასაძე პ/ნ 33001005109
- ოზურგეთი , დუმბაძის ქ # 1

ორგანიზაცია:
- შპს ვასაძის პური კოდი: 237077961

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ქალაქგეგმარებითი დასკვნა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, "დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის

05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის – სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი AR1470366 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქალაქგეგმარებით დასკვნას, მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.18.13.030.008) საწარმო შენობა–ნაგებობის განთავსებასთან დაკავშირებით. პასუხად გაცნობებთ შემდეგს: თქვენს დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.18.13.030.008) ვრცელდება ეგხ „თონეთის“ და ეგხ „ავჭალა 102“-ის დაცვის ზოლი (მაღალი ძაბვის სადენი). აქედან გამომდინარე, იმისათვის, რომ არქიტექტურის სამსახურს მიეცეს შესაძლებლობა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საჭიროა წარმოდგენილ იქნეს მოცემული ხაზოვანი ნაგებობის (საკადასტრო კოდი: #83.00.067) საჯარო რეესტრის ამონაწერში დაფიქირებული მესაკუთრის, სააქციო საზოგადოება „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“–ს შესაბამისი პოზიცია ტერიტორიის სამშენებლოდ განვითარებასთან დაკავშირებით. ასევე, გენგეგმა პირობების გათვალისწინებით, საპროექტო შენობა–ნაგებობის დატანითა და ზომების მითითებით.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.